არ ვიცი თუ ამ პირს რათ სწეინდა ბაქრძის ასეთი ჭეშმარიტი საყუბდურები. ბაქრძე უგმაყოფილი იყო ცაგარელზე უფრო იმის გამო, რომ ცაგარლის მაგიერ შრომებსორ პატკანოვს ბაქრძეს მოუხდა პასუხის მიცემა, იმ ისტორიული წერილების, რომელიც პატკანოვმა დაბეჭდა სამინისტროს ურუნალში, შესასებ საქართველოს ისტორიისა და რომელ წერილითაც პატკანოვმა „ქართლის ცხოვრების“ დაწერაც კი ერთ ვიღაცა სომხის ბერს აკუთვნა. სენგოვსკივით მთელი საქართველო სომხეთით აღიარა. რიგი იყო, რომ ამ წერილზე ცაგარელს მიეცა პასუხი, მაგრამ ამ პირმა ამასე კრინტიც არ დასძქა, ბეგრნი ამბობდენ, რომ სჩანს ცაგარელი პატკანოვის ჭყზრის თანსმა ყოფილათ. პატკანოვს პასუხი მისცა ბ. დ. ბაქრძემ. ეს პასუხი ჯერ „დროებაში“ დაიბეჭდა, მერე „ივერიაში“ და ბოლოს ცაღკე, ამის თარგმნას რუსულათაც აპირებდენ, მაგრამ არ იქმნა, სომხური თარგმანი ვინმე მესხისა დღეს ჩემს ხელშია. ასე მოეჭვა ცაგარელი პატკანოვის შრომის და ეს მისგან დიდს უკანონობათაც იქმნა მიღებული, მაგრამ ამას განა ახლა ვიცნობთ, ამ პირს დიდი სანია ვიცნობთ ჩვენა, მან თავის დრო მსოფლოდ საბა რბეულისანი; ზღაპრების რუსულათ გადათარგმნას მოანდობა. ანტ. კათალიკოზის გრამატიკის გარჩევა, რომელი გარჩევა დღესაც მკვდარ გასარჩევად ძევს. მას ქართულის გრამატიკულის ლიტერატურისათვის არაფერი სიკეთე მოუტანია. ცაგარელი მარტო ამით არ არის შესამჩნევი პირი, ამის საქმეები რომ არ ყოფილიყო, მაშინ პალესტინის საზოგადოებისაგან დ. ბაქრძე გაიგზავნებოდა ათონს, სინაის მთაზე და ჯვარის მონასტერში ქართული ნაშთების გასაშინჯავათ, რომელიც ბეგრათ ბეგრს საქმეს გააკეთებდა. ბაქრძემ სთქვა: დაე, ის წავიდეს, ნეტა გააკეთოს რამე,



მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისგან რძმის გაკეთება საეჭვოთ მიმაჩნია. მაინც ეს ისე აღმოჩნდა და ცაგარელმა თავის იქ უოფნის მეოხებით რამდენიმე მშრალ უსარგებლო ცნობებს გარდა სსკა არაფერი გამოაქვეყნა. ასრულდა ბაქრძმის თქმულება. ჩვენ ცაგარლისგან უფრო სსკა ცნობებს მოკვლოდით, ჩვენ მოკვლოდით ჯვარის მონასტრის აღწერას და მასში დასაფლავებულ შოთა რუსთველის ცნობებს, სადაც საფლავის ზემოთ ერთ კედელზე დასატულია თვით ეს გამოჩენილი გაციც, მაგრამ ეს ისე არ იქმნა და ცაგარელმა გამოაქვეყნა ერთად რამდენიმე ისეთი ცნობანი, რაც ჩვენ მასზე ბევრათ აღრე ვიცოდით. აი რა ხდოდა ბაქრძმის თვალში ცაგარელს არა პატივისცემებ შინათ და აი ან ჩვენ რათ უტყქროთ მას ასე.

ბაქრძმეს კეთილი ხსსიათუბი იქამდის იყო ჩვენში მოფენილი, რომ საცა გი მის მცნობ, თუ უცნობ ქართულებში სადმე რამე სადავო საქმე გაჩნდებოდა და საქმე მედიატორეთა გარჩევაზე მივიდოდა, იქ ბაქრძმეს უსიკვდილოთ ამოიჩეკდენ. ამისთვის ხშირათ ბაქრძმეს დიდათაც აწუსებდენ, აქ ამას რომ მონაწილეობა არ მიეღო, მასინ საქმეები ისე აიწეწებოდა, რომ ბოლოს საქმე ქართულის ელექტა-წევრით გათავდებოდა, სწორეთ ასეთ დღეში ჩავარდა ერთი ქართული სტამბის საქმე და ამ საქმის გამჩეკვთა დასში რომ ბაქრძმე არა რეულიყო, უამისოთ აქ საქმე სისსლით დაბოლავდებოდა. რაც აქ არეულ-და-რეული ქაღალდები გაიჩნა და უკვლავ ესენი ბაქრძმემ მოითმინა, ამასე გაკვირვებული ვიყავ მე. ამბობდა: რას ვიზამთო. ასე რომ არ იქმნეს ჭ არ გაიჩნეს, უამისოთ ერთმანეთს დაკვამთო. საქმის გათავების შემდეგ მოდავეთ თავის სასლში პატივი სცა, ვასშამიც გაუკვთა და ბოლოს სთქვა: — ჩვენდა საუბედუროთ, მე ქართულებს უკვლავთვის იმას უჩრეკე, რომ ნუჩსად ჭ ნუჩსადროს

ნუკა საქმეში ერთათ ნუ შეერთებინ, საცა კი ეს მომხდარა, იქ ყოველთვის საქმე დაფუძულა, ერთმანეთი გინაღმ დაუელე-ტიათ და ბოლო, სადავიდარბოთ გამხდარა საქმე. ამიტომ ისევე ჩვენი მამა-პაპური ჩვეულება ვიწროთ და ცალკე-ცალკე ვიმეტადინოთ. ის რატე ევროპაში შეერთებულის ძალით უნდა გაკეთდეს, ეს ჩვენში განცალკევებულის თვითოეულის პირის მოქმედებით ხერხდება. კსწუსვარ ამანე, მაგრამ რასა იქმს კაციო. ეს არის ჩვენი უბედურება და ეს არის ჩვენი სენი, რომელიც ჩვენის მამა-პაპების დარღვეულის ცხოვრებიდამ ჩვენც გადმოგვცემია თითქოს შემკვიდრობათ და ძვალსა და რბილშიაც შეკვთვი-სებიო.!

ჩვენს სასაღხო მწერლობის აღორძინებისთვის ეს დიდი მოწადინე იყო და მნატკრელი, ეს ამბობდა: ჩვენთვის დღეის შემდეგ რიგინი წიგნების ბეჭვდა დიდს საჭიროებას შეადგენს; ჩვენ უნდა ვმეტადინებოდეთ, რომ ჩვენს მდაბიო ხალხს პატ-რონობა გაუწიოთ. ამის გამო ეს დიდი მნატკრელი იყო და ჩვენ რომ წიგნის მალაზია გავხსენით, ამან აქ თითქმის პირ-ველ დღიდანვე დაიწყო სიარული და ჩვენს საქმეებში მონაწი-ლეობის მიღება. ეს ისე არ გაივლიდა ჩვენსკენ, რომ ჩვენს მალაზიაში არ შემოსულიყო. აქ რჩებოდა რამდენსამე ხან-სა და საუბარს მართავდა ზოგი ერთს საგანებზე, ქართველ ახალგაზდა პირებთან. ამის მისვლა-მოსვლა, ყოჩაღათ სიარუ-ლი და საუბარი ყველასთვის სამაგალითო იყო. 1879 წელს ჩვენ განვიძარახეთ, პირველ რქტომბრისთვის, მცხეთაში სადი-ლის გამართვა. ამისთვის სელის მოწერა იყო გამართული. სხვათა შორის აქ დაესწრენ დამიტრი ბაქრაძე, ან. ფურცელა-ძე, საწყალი სერგეი მესხი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთე-ლი და მრავალიც სხვანი. დანარჩენი სამოც კაცზე მეტი სულ

მასწავლებლები და სელოსანი ხალხი იყო. თავს მჯდომარეთ დ. ბაქრაძე ამოირჩიეს. ამას დიდათ ესამოვნა. სადილზე სუეგელა ჩვენი მწერლების სადღეობებელი დალია. ბაქრაძემ ორჯერ-სამჯერ ჰატარ-ჰატარა სიტყვებიც სთქვა, ასევე საწყაღმა სერგეი მესხმა. სადილმა მთელ დღეს გასტანა. სადილს შემდეგ მთელი მესადილენი ევროპიულს ტანთ-საცმლით სეფი-სელს ჩაკიდებულნი ქართული სიმღერებით ეგგელესიას უკვლიდნენ გარს, ხალხი ამაზე ძრვიელ გაკვირვებული იყო, რომ რუსულ სერთუგინები ქართულათ მღერინანო. აქ მეოთვი დიმიტრი ბაქრაძე ცხდათ დაწმუნდა იმაში, რომ ქართველებშიაც იწყებს საზოგადო ჭანჩუბის ჰატივის ცემის გაღვიძება. მე ეს შეუჩილდა და ღხინი არას დროს არ დამავიწყდება და ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენ ამ ჩვენის დედა ისტორიული ტაძრის გვერდით უკველ წელს მანაც მოვიყარათ თავი და ვიდღესასწაულათო. ესეთი შეერთებული სადილი და ჰატივის ცემა მე არას დროს აღარ დამავიწყდება. ამ დღესვე ჩვენ აკედით მცხეთის გუმბათის სენაკში, სადაც ამ სუგუნის განმავლობაში ჯერ კაცის თეხი არ ასულიყო, აქვე ამოვიდა გ. წერეთელი. სენაკებში ვნახეთ ერთი ძველი აკვანი და ერთი დიდი უუთიც დოკუმენტებით და ძველი წიგნებით სავსე, ეს უუთი და აკვანი 1795 წ. შემდეგ დაჩენილა იქ. ამ დოკუმენტებში და წიგნებში ბევრი შესანიშნავი რამ აღმოსჩნდა. რაც მოვიყვანეთ აქ ბაქრაძეს თვისებების შესახებ გონი რომ კმარა იმის გამოსახენათ და დასასტავთ, თუ ეს პირი რა თვისებების და ხასიათების იყო. მოკლეთ რომ დაკაბოლოვოთ, ეს მაშინ ასე გამოითქმება: გიყვარდეთ და შეიყვარეთ ერთმანეთი, ჰატივის სტუმდეთ თქვენი შვილების განათლებას და განვითარებას, ჰატივის სტუმდეთ მოქალაქეობას, თქვენს ენას, მწერლობას და მღე-

დროით სქესთ პირობებს. სხვა რამ თამაში, ცეკვა და აქეთ-  
იქით სიარული ამას არ უყვარდა, ერთ თავათ თავის განდორ-  
კასთან იდგა და მუშაობდა ხოლმე.

როგორც უწყით, ბაქრამე წერილების წერა პირველათ  
1847 წ. დაიწყო, რუსულათ და ამის ორი წერილი კავკასიის  
მთიულების შესახებ 1848 წ. უწინაღ „სოკრემენიკში“ და-  
ბეჭდა, რომლის რედაქტორათ გამოჩენილი ჰანაევი ითვლე-  
ბოდა. ეს წერილები საკმარისად საუწრადღებოდ გახდა ბერის  
აკადემიკებისთვის და ბაქრამე მცოდნე უმწველ-კაცათ იცნეს.  
ამის შემდეგ ეს თავის წერილებს აქა იქ ბეჭდავდა. „სოკრე-  
მენიკიდან“ ეს წერილები შემდეგ „კავკასში“ გადმობეჭდეს.  
პირველი მაგალით იყო, რომ იმ დროის რუსულს ლიბერალურს  
უწინაღს „სოკრემენიკში“ ქართველი კაცის ნაწერი დაბეჭდი-  
ლიყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს დაუახლოვდა გა-  
ზეთ „კავკასს“ და პ. იოსელიანის „ზაკავკასსკი ვესტნიკს“ კი  
არ მიეკარა ხალხს. მიზეზი ამისი ის იყო, რომ იოსელიანს  
არც პროგრამა ჰქონდა გარკვეული თავის გაზეთისა და სშირად  
სხვა-და-სხვა ნაირი სჯატ იცოდა, ისტორიულს ცნობებთან ეს  
რამე საკვირველ მოქმედებასაც ურევდა. ამიტომაც იყო, რომ  
ბაქრამეს „კავკასში“ დაუწყვია შრომა. აქ ამ გაზეთში ასეთს  
მოასხრებას ხომ მინც არ ექმნება ადგილიო. აქვე შრომობდა  
მის ნაამსხნაგარი ნ. ბერძენოვი, ქართულს ისტორიაში ამაგდა-  
რი. ამ ნიკო ბერძენოვის შესახებ ჩვენ თავის ალაგას გვაქვს ნა-  
თქვამი და მკითხველს გავაცნობთ. ბაქრამე მუდმივ დაიწყო შრო-  
მა 1850 წელს. გაზეთ „კავკასში“ დაბეჭდა სტენები ქართველ  
ხალხის ცხოვრებიდან. აქედამ სჩანს, რომ ბაქრამეს ქართველი  
ხალხის ცხოვრება კარგათ სცოდნია. 1851 წ. დაბეჭდა „საქარ-  
თველო და ქართველი ერი“ სადაც ბერძენი რამ საისტორიო

ცნობები შეტანილი. ამავე დროს დაიბეჭდა მისი წერილი სახელათ „ღუქანი და ფურნე“ ეს ამბობს, რომ სიტყვა ფურნე ქართულის ჰურნიდამ არის წარმომდგარო. ამას შემდეგ დაიბეჭდა „ოცები და მათში გავრცელებული გიორგიანთ სექტის“ აღწერა. 1853 წ. ქვემო ქართლის აღწერა. გორის ციხის ისტორიული აღწერა და სხვანი. 1856 წ. დაბეჭდა „ლანკა და მის დამოკიდებულება ვიზანტიელთ წინაშე“ 1859 წ. უუჩნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი წერილი ქართულს ნუმისმატიკაზე. 1860 წ. გააჩნია „კალმასობა“ და ეს გარჩევაც ამავე უუჩნალს „ცისკარში“ დაიბეჭდა. რაც ღირსია უუჩნადლებისა. 1860 წ. დასწერა რუსულათ „ზაკრატ მეოთხე“. ანუ მეთერთმეტე საუკუნის აღწერა და აქედამ მალე ქართულათაც გადასთარგმნა და 1861 წ. „ცისკარში“ დაბეჭდა. ამის შემდეგ ამან აღწერა სვანეთი, რომლის მოგზაურობა ერთს განძს წარმოადგენს. ამის შემდეგ მთელი რიგი სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ „კავკასში“ ამანვე დაბეჭდა „ცისკარში“ დავით აღმაშენებლის კრების ზირი. 1866 წ. რომ თფილისში ქართული გაზეთი „დროების“ გამოცემა მოიწადინეს, ამისთვის სტამბაც დააჩსეს. ბაქრამემ ამ სტამბის და გაზეთის დააჩსებაში დიდი მონაწილეობა მიიღო და „დროების“ ერთ უმთავრეს თანამშრომლათ ირიცხებოდა. ამის წერილები აქ პირველის ნომრიდამ იწყებს ბეჭდვას და 1871 წ.-მდე „დროებაში“ არ შეწყვეტილა მისი შრომა. „დროების“ შემდეგ „მნათობი“ დააჩსდა და პირველ წელს კი არა და მეორე წლიდამ აქაც მიიღო მონაწილეობა და ვიდრე „მნათობი“ არსებობდა, მინამდის აქ მისი სტატიების ბეჭდვას არ შეწყვეტილა. „მნათობის“ დასურვის შემდეგ ამან მონაწილეობა მიიღო გაზეთ „ივერიაში“ და აქ ამისი მთელი რიგი ისტორიული წერილებია დაბეჭდილი. „ივერიის“ შემდეგ ეს 1880 წ.

ისევე „დროებს“ მიუბრუნდა, ძველი მეგობრობას გაისვენა, გაიხსენა ის ორგანო, რომელიც მისის მშვენიერის სტატიებით არა ერთხელ გამშვენიერებულა ამ გაზეთის ფურცლები. ასეთ მშვენიერ სტატიებათ მე შემიძლიან დავასახელო 1866 წ. „დასავლეთის ევროპის ერის გონებითი განვითარება“ სადაც სხვათა შორის აქ ესება გერმანიის მუშა ხალხს, პეიფერის მოძღვრებას, ლასალის, შულცე დელიჩის და სხვების. აქ ბაქრაძეს უმთავრეს მიზანს კი ის შეადგებს, რომ მკითხველს უჩვენოს ის, თუ გერმანიაში რა გვარ სცხოვრებს მუშა ხალხი. 1870 წ. დაიბეჭდა მეორე ამის ჩინებული წერილი სახელდობს „საქართველო“ რამდენსავე ნომერში. აქ დაბეჭდვის შემდეგ ეს სტატიები ცალკე წიგნათ გამოცა, ეს ისტორიული წიგნი ჩვენს მწერლობაში შესანიშნავ მოკლენათ ჩაითვადა. სწორეთ ცის მანანას მსგავს მოკლენათ იქმნა ეს. ამ დრომდის ჯერეთ ქართულს მწერლობას ასე დაწერილი წიგნი არ ესილა. ეს წიგნი გააჩნია იმ დროის უერნალს „მნათობში“ ბ. ან. ფურცელაძემ დ. ბაქრაძეს ქება მიუძღვნა, ამან ბაქრაძე ბევრნაირის მხრით დრეპერს და ბოკლს. შუეწონა, შუეწონა იმ ღირსებაებით, რაც კი ამ კაცს მოუძებნა და უპოვნა. ამაზე იმ დროის უერნალ „გრეპულში“ წერილი დაიბეჭდა ფურცელაძის წინააღმდეგ. წერილი ეკუთვნის ჩვენს ნიჭიერს მწერალს ნ. ნიკოლაძეს. ამან შენიშნა ფურცელაძეს, რომ ბაქრაძის პატივის მცემელი მეტა ვარო და მის სახელის ხსენებას მე უბრალოთ არავის დაუთმობო, მაგრამ ზოგი ერთ არც იმის ნებას მივსცემთ, რომ ეს ვინმემ აქოს და ამ ქებით ისე პატივი არ სცეს, როგორც შუენაცყოფის მიუენებაო. შენ უფლება არ გქონდა, რომ ბაქრაძე დრეპერზე მადლა დააყენო. ამაზე ბევრი წერა და ოსუჯობა მოუსდათ. არ შემიძლიან არ მოვიყვანო აქ ერთი ტაეპი, რომელიც ბაქრაძის

გამო ნიკოლაძემ ფურცელაძეს მუძიდგნა „დროების“ ერთ ფელეტონში აი:

„ისტორიკოსნი შემოკრბენ ამაზედ ჭქონდათ მსჯელობა, ხუთ ფაქათ ბრასე დაიფასდა, ორ ფაქათ ბოკლის მწერლობა, გიზო აწაფრათ ჩაგდეს, დრეპერს დაწქეეს უაღბობა, და ჩემი „საქართველოსი“ იქ აღამაღლეს სელობა“.

ბაქრაძის წიგნი „საქართველოს“ გამო ზოგნი ნიკოლაძის წერილს და შენიშვნას ამართლებდენ და ზოგნი ფურცელაძისას. ვინც ფურცელაძეს ეთანხმებოდენ, ისინი ამბობდენ, რომ ღიას, ბაქრაძე დრეპერს მიტომ ვერ შეედრებაო, რადგანაც რაზუდაც დრეპერს იქ მეტნიერულათ სჯა მოუხდება, იმისი მკვიერ აქ ბაქრაძემ ის უნდა ამტკიცოს, რომ ორჯერ ორი ოთხიაო. ამ წიგნის შემდეგ პეტერბურღში დაიბეჭდა რუსულს ენაზე თფილისის ისტორიული ნაწილის აღწერა, რომელიც ბაქრაძეს ეკუთვნის და ეტნოგრაფიული ნ. ბერძენოვს. ეს აღწერა სომხებმა სომხურს ენაზე გადასთარგმნეს და სტამბოღში სომხურს ენაზე დაბეჭდეს. ამ დროს ბაქრაძე უკვე მუშაობდა კავკაზის აქტების მასალების შედგენაში და ქართულიდან რუსულს გადათარგმნაში. ერთს „აქტების“ წიგნში დაიბეჭდა ვრცელი აღწერა საქართველოს და სომხეთის ეკკლესიების აღწერისა, რომელიც სავანისად ვრცელი წიგნია და ბოლოში ორი სამი ქარტაც აქვს. ეს აღწერა შემდეგ წლებში ბერძმა გადააკეთეს თავიანთობურათ და ისე აღწერეს მზა მზარეული საქართველოს ნაწილები. ამ აღწერის გამო მეტათ უსდელათ მოექცა ბაქრაძეს უსდელი და მწერლობის ქურდი ად. ბერეე, მთელი კავკაზისის საისტორიო მასალები ამან გაქურდა, გაყვლიფა, ქართული ენა არ იცოდეს და ქურდბატაცობით საქართველოს ისტორიულს წერილებს კი სწერდა. ამ ურცხვმა და უსდელმა ბაქრაძეს და ბერძე-

ნოვს ძრეულ ბეკრი ისტორიული ცნობები მოჰყვარს. საწყალი ნიკო ბერძენოვი ამან მოკლა. ყოველთვის ამას ამბობდა ბაქრადი, ამან მოკლა ნ. ბერძენოვი. ასევე სურდა, რომ ბაქრადეს მოქცევაყო. რაკი „აქტები“ ამის სელექტში გამოდიოდა, ამიტომ ბაქრადისაგან დაწერილს საქართველოს ღ სომხეთის ეკკლესიების აღწერას თვისი სახელი მიასწერს. ამ წიგნზე ბაქრადის სახელის გვერდით ქურდ-ბაცაცა ბერეეს სახელი ისეთ ნაიწათ არის მოხერხებული, რასაც კაცი ვერ გაარჩევს და ვერ გაიგებს, თუ აქ ამას რა ხელი და საქმე აქვს სხვის შრომაზეო. ამის შემდეგ პეტერბურგში დაიბეჭდა ბაქრადის „არსელოგიური ღ ისტორიული მოგზაურობა გურია-აჭარაში“. ეს წიგნი ბაქრადის ნაწერებში ერთ თვალსაზრისწინა წიგნათ ჩაითვლება, ეს წიგნი არის საღარო გურულთა და აჭარის ერის ისტორიისა. ამ წიგნიდამ ძრეულ ბეკრი ადგილები ნიკოლაძემ გადაბეჭდა „ობზორში“ და მესხმა „დროებაში“. 1880 წ. ამან წაიკითხა ერთი წერილი კავკასიის გეოგრაფიულს საზოგადოების დარბაზში, ქობულეთის ღ აჭარის შესახებ ახალი მოგზაურობა. ეს მოგზაურობა მოსსენებათ წაიკითხა და ამ მოსსენების რამდენიმე ადგილი „დროებაშიც“ იყო დაბეჭდილი. ამის შემდეგ ბაქრადეს სურდა რომ უურნალს „იმედში“ მიეღო თანამშრომლობა და ამის პირველი წერილი: ბაგრატიონანთ შტოს დასაწყისი ერთ ნომერში დაიბეჭდა კიდევც, გაგრძელების დაბეჭდვა კი აღარ მოხერხდა, რადგანაც ამ უურნალის სამტრეთ ამას აქეთ იქიდან რაღაც შური ჩასმინეს. ამავე დროს ეს ამზადებდა რამდენსამე წერილებს, რომლებიც უნდა დაბეჭდვით კავკასიის არსელოგიურს ცნობებში“ რომლის რედაქტორათ ბაქრადე და კვიდენბაუმი იუვნენ. ამ კრებულის მათ სულ სამი წიგნი გამოსცეს და მასში ძრეულ ბეკრი წერილებია საქართველოს შესახებ დამ. ბაქრადისა. ამავე დროს დ.



ბაქრასე მეტის მეტათ დაუცხრომელათ მოღვაწეობდა თავისგან დაწეული ჰალეოგრაფიულს შრომასე, ამ შრომისთვის მას დიდათ დაესძინა ის ძველი სახარებაები, რომლებიც ქსნის ხეობასე აღმოჩნდა და რომელი სახარებაებიც მე გარდავეტი მას. ამ ნაშთების მოპოვებით ქართული ანბანის საქმე რჩი საუკუნით უფრო შორს გასწია, თითქმის მეშვიდე საუკუნემდის მიადწია და გარდა ამისი ამითი ხუცურის პირველობაც დამტკიცდა მხედრულსე. 1886 წ. გამოვიდა თფილისში ვასუშტის გოგრაფია, გამოცემა გ. ქართველიშვილისა, ბაქრასის რედაქტორობით. ამ შრომასე ბაქრასე მეტათ დიდი შრომა დასდო. კაცი განცვიფრებაში მოდის, როცა აი წიგნში ბაქრასის მიერ შეტანილს ცნობებს სედავს. აქ იმდენი შენიშვნებია მოთავსებული, რომ მის საშუალებით ბაქრასეს სრულიად ახალი თხზულება შეეძლო დაეწერა. 1887 წ. გამოვიდა ვასტანგ მეფის კანონები, რომლის შენიშვნებზედაც მეტათ დიდი ცნობები მიუძღვის. ამავე დროს პეტერბურგში დაიბეჭდა რჩი მისი წერილი შესახებ საქართველოს ისტორიის წყაროების. ესევე მონაწილეობას და თანამშრომლობას იღებდა „თფილისის მონაბეში“ „ურიდიულს რუმინურსეში“ „ახალს მიმოხილვასში“ და ერთხრობით გასეთ „კავკასის“ რედაქტორობაც იყო. გარდა ამებისა ამის ისტორიული ცნობებით, შენიშვნებით და გარჩევებით სასკვა მრავალ სხვა და სხვა პირთა მიერ გამოცემული ისტორიული წიგნები. უკანასკნელს ხანს კი ამან გადასწევითა ვრცელი საქართველოს ისტორიის დაწერა, მაგრამ მინც ვერ ბედავდა, შიშობდა, ჯერ-ჯერობით ყოველათ შეუძლებელია რჩი აქ რიგინი ისტორია დაწეროსო, რადგანაც აქ ჯერეთ ისტორიული მასალები არ არის შეკრებილიო. ამ ისტორიას დაწერას მე ისე ვერ ბედავდა, თუ სტამბოლში არ წავეღ და რსმაღეთის სა-

ხელმწიფო აზნოებში დასავლეთ საქართველოს ნაწილის ქართველ ბეგების სიგელ-გუჯრები არ გავშინჯო. იქ წასვლა მან მოასკრხა კიდევ თვისი თანამდებობის მინდობილების მეოხებით. ეს წავიდა სტამბოლს, იქ დიდის პატივით მიეგებენ ჩვენი მოძმე სომხები, ამით თავიანთის ნაციონალურის საზოგადოებისაგან დეპუტაცია მიუგზავნეს, სიტყვები უთხრეს, პატივი სცეს და მის შესახებ გაზეთებშიაც ბევრი სწერეს. ამის ამბები ხომ ჩვენშიაც მოვიდა. ბაქრამძე მოისაქმინა იქ და შემდგომ ამის დაბრუნდა საქართველოში. აქ მოსვლის შემდეგ კი მან საქართველოს ისტორიის პირველ ტომის დათავებას მიჭყა ხელი და ძალეუც გაათავა. პირველი წიგნი, რომელიც შეეხება მათე საუკუნის გასვლამდის, გამოიცა 1889 წ. მშვენიერათ დაბეჭდილი. ადგილობრივ გაზეთებში ამას საკმარისი პატივის ცემა აღმოუჩინეს. ამ ისტორიის შესახებ ვიტყვით ჩვენ: რომ ეს წიგნი თავის ისტორიულის ცნობებით საღაროა სწორეთ, ვინც კი წაიკითხავს და გაიცნობს ამ ისტორიის პირველს ტომს, ის ამასე ცხადად დამერწმუნება. რაც ამ პირველს წიგნში ცნობებია შემოკრებილი, ყველა ქართული საისტორიო წიგნები რომ ერთათ შეკრიბოთ და გადაშინჯოთ, თქვენ იქ ამოდოლს ვერაფერს ვპოვებთ. გარდა ამის ეს ისტორია დაწერილია ისე, რომ ღის მსგავსად წერს ჩვენში ჯერ-ჯერობით ბევრს ვერც ესერხება და არც ეჭაშინიკებათ. სხვა და სხვა ღიხსებასთან ბაქრამძეს ერთი ის ღიხსებაც აქვს, რომ ეს თვის ისტორიას ვეროვის მსწავლულთა ცნობებზედაც აფუძნებს. ამის ნაწერებში თქვენ შესუდებით ლაქის სახელს, შლეიდენისას, რენანს, დრეპერს და ბევრსაც სხვებს, რომელთაც ბევრი ჩვენი მესტორიენი უნდოს თვალთ უმზერინან. გარდა ამების, ბაქრამძე მეტის მეტი ფრთხილი პირია სხვა და სხვა ტომთა შესახებ საუბარში და პასუხი-

ბის ძლევაში, ეს არის დროს არ იკადრებდა, რომ ვინმე ტომის ეროვნების მწერლობის ღირსებას უწესოდ მოპყრობიყო. არა, ეს ყველას პატივს სცემდა და ყოველი ერის ნაკლულეგანებას საგაჩარისის სდილობით აღნიშნავდა. ამისი წერილი სომეხთ მცნიერ მსწავლულ ემინის 50 წლის დღესასწაულის გამო „ივერია“-ში სწორეთ საგანგებო და სანიმუშო რამ არის. ბაქრაძემ იცოდა ყველაფერი კარგათ, რომ თუ არა მცნიერულის და სდილობიანის მსჯელობით, კიცხვით ხომ სულ არათუერი გაკეთდება. ასეთ გზას ადგა და ამიტომაც იყო, რომ სტამბოლში მას თვით სომეხთ პატრიარქიც კი მიეგება. ასევე ვინც კი საქართველოში ევროპის ან რუსეთის მცნიერი ღირსებისტი მოვიდოდა, პირველად ამას ესტუმრებოდნენ ღ ნახავდენ.

ჩვენდა საუბედურათ, ერთათ ერთი ამისი და ჩვენი დანაკლისი ის იყო, რომ ამან თავის ისტორიის გათავება ვეღარ მოასწრო, თუმცა მეორე წიგნი კი დაწეობილი ჰქონდა, ამის ჯავრი საწყალს თან გაჭევა და სიკვდილის დროს ეს ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ერთავთ სულ ლულულულებდა და სხვა და სხვა ისტორიულს ცნობებს ახსენებდა. რამდენათაც ჩვენ დაგვაკლდა, ამაზე უარესად თვითონ გაჭევა ჯავრათ ის, რომ მან იმ ქვეყანას და ერს, რომელსაც 40 წელიწადი ემსახურა, უგანასკნელ საქართველოს ისტორიის დამთავრება ვეღარ მოუსწრო. დღეის შემდეგ რამდენი ცნობა უნდა აიჩიოს და დაიჩიოს, რომ მას მალე გარკვევა ვეღარ ეღიარება, რამდენი ძველი ნაწერი დაშთება და რამდენი სიტყვა გადასხვაფერდება სხვა ნაირათ, ვიდრე ბაქრაძესავე მცოდნე პირები არ გამოკლენ. გამოსულა კი ადვილია, მაგრამ მასწავლებელი არ უნდა. ვინ არის მასწავლებელი მერე, რომ ასწავლოს.

უგანასკნელ წელს დ. ბაქრაძე კანდაკოვით მოგზაურობდა გურია-

ში, იქ ესენი სწორდენ გუბიის ეკლესიის ხატების მხატვრობას და წარწერებს. მგზავრობაში ერთ აღაგას წყალში ჩავარდნილიყო. ბაქრამეს წყალში კარგახანს ეკლესიის ფეხით და ცოტა არ იყოს შესტივნიყო კიდეც. თფილისში დაბრუნდა, ამან თავის შრომას მიჭყო სელი. მალე კანდაკოვის შრომა გაათავა და პეტროპოლში გაუგზავნა დასაბეჭდათ, ამის შემდეგ ეს მუშავობდა თავის აუარებელს ისტორიულს მასალებზე, ამ დროს გახდა იგი ავით ღ 10 თებერვალს, 1890 წ. გარდაიცვალა. ამის გარდაცვალების ამბავი დიდის მწუსარებით მოისმინა მთელმა ქართველობამ და 13 თებერვალს დიდის ამბით ღ ცერემონიით დასაფლავეს დიდუბის ტაძრის გალავანში. დასაფლავებაზე დაესწრო მთელი თფილისის ქართველობა, მრავალი დეპუტაციები სხვა და სხვა ქალაქებიდან მოსული. სიტყვა წამოხსთქვეს: გ. წერეთელმა ღ ნ. დადიანმა. ამით ილავარაკეს ბაქრამის ღირსებაზე. აკავიმ ლექსი წაიკითხა. ასე და ამ გვარის პატივით და მწუსარებით გამოესაღმა ქართველობა იმ საყვარელ თავის ქვეყნის ისტორიის მწერალს, რომელმანც ორმოცე წლის განმავლობაში დაუცხრომლათ ემსახურა თავის ქვეყანასა და ერს.

შემდეგს ორს საგანზე შენიშვნის მოყვანა თავის აღაგას კენ დაგვაიწუდა. როცა მე აღექვანდრე ორბელიანის სტატის „ბატონ-უმობა საქართველოში“ ვბეჭდავდი, მამინ ბაქრამეს კვითხე თავის ჭაზრი ჩვენს ბატონ-უმობაზე. ამან აღიარა: ჩვენთვის ბატონ-უმობა მით იყო ცუდი, რომ გარშემო მჭამადანთ სამეფოები გვეკრუნე, ისინი ჩვენ ქალებს ეტყობოდენ თავიანთის სისხლის გასაუმჯობესებლათ და ჩვენნი მუბატონენიც თუ ჭყიდდენ რასმე, პირ და პირ ამ ქვეყნებში მიერეკობოდენ და ჭყიდდენო. რუსეთი კი ამით ბედნიერი იყო და იქ თუ მუბატონენი ჭყიდდენ, მათ ისეგ რუსის ვაჭრები ყიდუ-

ღობდნო. ქათრკელები გი საქართველოს ძუძუდამ ეგლი-  
ჯებოდა და ეს მოგლეჯილი ღვიძლი შვილები სპარს ოსმალში  
ედუშებოდათ, რითაც დიდი ვნება მოსდიოდა საქართველოსათ.  
გარდა ამას, რაკი უმეხა იტოდნენ, რომ სათათრეთში გაქ-  
ცვის მეხსებით ესენი განთავისუფლდებოდნენ, ამიტომ ესე-  
ნი საქართველოდამ სათათრეთში თავიანთ ნებითაც მიზბოდენ,  
იქ თათრის სჯულს იღებდენ და მით თავისუფლდებოდნენ.  
საზოგადოთ რომ ითქვას, ჩვენებურს ბატონ-უმობაზე ძრეულ  
ცუდის შესედულების იყო და არ მოსწონდა. ასევე არ მოს-  
წონდა ის მეისტორიე მწერლები, რომლებიც ერთსა და იმავე-  
დროს საქართველოს აძლუებულთაც ასწერენ, აქებენ, აღიდებენ  
და იმავე დროს ეს მათგან ნაქები ერი და ქვეყანა გი ოსმალ-  
სპარსების. ფეხქვეშ უწყალთ იყო შთავარდნილი და ამ საუგუ-  
ნის პირველ წლის მოწყალების მოკლენა რომ არ მოკლენიყო,  
მაშინ ის სრულიად აღიგებოდა დედამიწის პირზე და გაწუდე-  
ბოდაო. ამბობდა: მე ესეთი მეისტორიები არ მომწონს და იგი-  
ნი ერთის ხელით ორს სავანს ემსახურებიან და ამ მსახურით  
საქართველოს ერთის სიტყვით თუ აქებენ და აღიდებენ, მე-  
ორეს სიტყვით მას მეტათ უძლურს და შესაბრალის მდგომარეო-  
ბით ხატავენ და თითქმის სპარს ოსმალთა წინაშე აუარებელს  
მონებაში შთავარდნილსო. ეს არ არის კარგიო. ასე სჯასა და  
საუბარს ყოველი მეისტორიე უნდა სიფრთხილით ეპყრობოდეს  
და მასთანვე უნდა ესმოდეს ისტორიული მწერლის მოკალე-  
ობაო.

ერთხელ სასოფლო სკოლების შესახებ გვქონდა საუბარი  
და ამან სთქვა, რომ ჩვენ უნდა გვეცადოთ ღ ჩვენს ქადაგებათ  
გაზეთებში სულ სკოლის საქმეები უნდა გავიხადოთ. უნდა გვეც-  
ადოთ, რომ თითქმის ყოველს სოფელში გავსენათ საკრო სკო-

ლები და ხალხში კითხვა გაგრძელდეს. ეს არის ერთადერთი  
ჩვენი იმედი, ძალა და იარაღი, ჩვენის გლეხ-კაცის შვილების  
განათლებით ჩვენ წინ წავალთ ყველაფრით, წინ წავალთ მე-  
ურნეობით, წადგანაც ეს ხალხი ძველადგანვე მეურნეობას არის  
შეჩვეული, წინ წავალთ ვაჭრობით, წადგანაც ამათი შვილები  
ვაჭრობასაც ადვილად ეუფლებიან და აქამდისაც წავიდოდით  
ამითა ჩვენ წინაა, რომ ჩვენს ბატონ-უმობას არ დაეკავებინა ეს  
ბედკრულნი და დამონაკებულნი არ ეოფილიყვნენო. ჩვენმა ბა-  
ტონ-უმობამ დიდი ზარალი მოგვცა, ამან დაგვლუპა, ამან დაგ-  
ვანელაო. ჩვენი გლეხ-კაცობა ამისგან ხელ-ფის შეკრული იყო,  
არსად გასვლის თავისუფლება არ ჰქონდათ და მათ მაგიერ  
ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სომხის ვაჭრობა მიდიოდა წინაა.  
ჩვენის საზღვრებით ამათ ისარგებლეს და ჩვენს ქვეყანაში  
ამათ წადგეს ფეხი წინაა. ამიტომ უნდა ვეცადოთ და ვიშრო-  
მოთ, რომ ყველა სასწავლებლებში გლეხი-კაცის შვილებს მივ-  
სცეთ შესვლის საშუალება, ვეცადოთ, რომ ყველა სასწავლებელ-  
ში ესენი გამკვლავდნენ, ესენი წავიდნენ წინ, ამათი რიცხვი სა-  
ქართველოში დიდიც არის შედარებით სხვა ტომის გლეხებთან-  
აა და თუ ეს მოვასკვსეთ, მაშინ დაგაწმუნებთ, რომ ჩვენ  
აღარაფრის შიში აღარ გვექნება და ბევრს განათლებულს ერს  
მხარდა-მხარე ცხოვრების გზაში ჩაუდგებით და გაუოანასწორდები-  
თო. ასეთის შესედელების იყო ამაზე დ. ბაქაძე და ამიტომაც  
იყო, რომ თავის სახლის მოსამსახურეთ ამას სულ სოფლის  
ბავშვები ჩამოჰყვანდა, ორ-სამ წელს თვით იმსახურებდა, წიგნს  
ასწავლიდნენ, აცოვდნენ, ხურავდნენ, პატრონს ფულს აძლევდნენ ჭ-  
ბოლოს ამ ბოვშეს, როცა კი ხანში შევიდოდა, ხელობაზე აძ-  
ლევდნენ, რამდენი არიან დღეს ამის სახლიდამ გასულნი და  
თფილისში დაცოლშვილიანებულნი. რამდენ ამთაგანმა დიტი-  
რა ეს პატივცემული გვამი, ამას რიცხვი არა აქვს.

რომელ ერთის მხრით მოვიგონოთ ეს პატროსანი პირი, რომ ჩვენ გულის არ დაგვაკლდეს. ნეტა ის მაინც დასტავებოდა, თავის წადილი აქსრულებინა და საქართველოს ისტორია დაემთავრებინა. უკანასკნელ ეს ძალიან მოწადინებული იყო ამის. სიკვდილის დროს ამას ისე თავის თავი არ აგონდებოდა, როგორც ისა, რომ საქართველოს ისტორია დაემთავრებული მშთება. ბევრი ცნობები ჭკანდა განსვენებულს განცობილი და გასარკვევი. მაგალითად: ქართული საიდუმლო ანბანის ისტორია, რომელი ანბანიც ჩვენი მეფეების დროს იხმარებოდა სამეფო პირებისაგან. ეს ანბანი დღეს ჩვენთვის უცხოა და მის კითხვა არაინ იცის, არც სჩანს სადმე. განსვენებულს ამ ანბანის ასობის და განვითარების ისტორიის განხილვაც უნდოდა. ეს სამუდამოდ დაახლოლებდა ქართული ანბანის ისტორიას. პირველად ამან შემოიღო ხმარებაში „ვეფხისტყაოსნის“ მაგიერ „ვეფხისტყაოსანი“. ეს მან ერთ ძველს არტანულს „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვა. მანვე გაარკვია სიტყვა „ნაბიჭვარი“ და იხმარა „ნაბიჭვარი“ ვახტანგ მეფის კანონებში.

ზოგიერთნი ამბობდნენ, რომ ბაქრამი საეკლესიო მეთოდური არისო. ამათ დაეხმარათ ის გარემოებაც, რომ ბაქრამიმ საქართველოს ისტორიის პირველი წიგნი დაბეჭდა. პირველი წიგნი მართლაც და საქართველოს ისტორიის საეკლესიო ნაწილსაც შეეხება. მაგრამ რას იზამდა ბაქრამი, ამის არიდება არც სსვა მეთოდურისაგან იქნებოდა, თუნდ იგი ბოკლი, დრეპერი და ლუი ბლანი უთფილიყოს. ჩვენის ერის პირველ საუკუნოების ცხოვრების შესახებ ჩვენ სსვა არაფერი ცნობები გვაქვს. ეს არის ერთად ერთი ძალა და ისტორიული გასაღები, რომელიც უცხო ტომთ მწიქალთ თქმულების შედარებით ჩვენის ერის პირველ საუკუნოების ისტორიის მასალათ დაშთება. ბაქ-

ჩემს რომ დაცვალადა, ის თავის ისტორიულს შემდეგლ-  
ბას და ცოდნას შემდეგ ტომებით გამოაჩენდა. ეს მის ისტო-  
რიას წესდებამაც გვაძინია. შემდეგ ტომებში ჰსურდა ესაუბრა  
ისე, როგორც ამ დროის მისტორიკოსგან მოითხოვება. აქ  
ვრცელს ადგილს იჭერდა მძალი და დაბალი წოდების ისტო-  
რია, მიწათ მიფლობელობა, კანონმდებლობა, მწერლობა, განათ-  
ლება, ექიმება, ძველი ქართული ოჯახის მიმოხილვა და მრავალ-  
ფერ სხვანი, რომელნიც დაკავშირებულ იქმნებოდნენ მატე-  
მატიკურს მოძღვრებასთან, ვარსკვლავთ მრეცხველობას, ფიზიო-  
ლოგიას, ანატომიას და სხვებთან. — თუმცა ასე დაწერა ჩემთვის  
ერთობ ძნელია, — ამბობდა განსვენებული, მაგრამ უამისობა არ  
შეიძლება, გარემოება როგორც ნებას მოგვცემს, ისე უნდა მო-  
ვასწავროთ. ვარსკვლავთ მრეცხველობის შესახებ ეს ისე მტკ-  
დინებოდა, რომ საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში მომხ-  
დარ მზის დაბნელებაც-გი გააჩვენა ერთ თავისს წერილში, რომ-  
ელიც ევროპაში ერთის მატემატიკურის ვარსკვლავთ მრეცხვე-  
ლის ბ. სავინინიანგან არის შემოწმებული. აქვე დაიკავებდა  
ვრცელს ისტორიას ქართველთ ვარსკვლავთ მრეცხველების და  
მეთერთმეტე საუკუნეში თბილისში არანთავგან დაარსებულის ვარ-  
სკვლავთ მრეცხველურის აბსერვატორიის შესახებ, რომელ აბსერ-  
ვატორია ეკვლა აზიის ქალაქების აბსერვატორიებზე უფრო გან-  
თქმული აბსერვატორია იყო. ამაზე მტკიცე ცნობა მლოსერ-  
საც მოეპოვება. ბაქრამის აბსერვატორიის სახელიც-გი ჰქონდა  
მოპოვებული ქართულის ძველის წიგნებიდან. შირველი ტომი  
მასლად არის, შემდეგ იქნება ისტორიად.

მინც ამის შირველი ტომი საუურადღებო განძია ჩვენს  
ისტორიულს მწერლობაში. აქედან მკითხველი მშვენივრად გაიც-  
ნობს საქართველოში მყოფ ერთ დიდს ჯარის ღვაწლს, ერთს



გვარის წევრთ ამაღლებას და მძლავრობას, მეორის დამდაბლებას და უძლურებას, რომელთაც ჩვენს წარსულს დროებში უცხოვრობათ, უმუშაგნიათ და თავიანთის სასელის მოსაგონად ათას ნაიანი ნაშთები და ძეგლებიც უგკეთებიათ. აქედამვე კარგად სჩანს უოკელი მიზეზი ჩვენის პირველ საუგუნეების სიმძლავრის და სწავლა-განათლების, და ისიც, თუ შემდეგ დროებში როგორ უნდა მომზადებულიყო საქართველოს დაცემის და უძლურების მიზეზნი. ამისთვის კმაჩ ჩვენ გავიცინათ მისი ცნობები მხოლოდ ჩვენის საეკლესიო ისტორიის მხრით, ბერ-მონაზვნების გავრცელებით, განდგეილებით და სხვებრ, რომელიც ერთ დროს საქართველოში მეტის მეტის დიდებით ბრწყინავდა და რომელთაც ამ მშვენიერს, ძველად ვრცელს, ამაღლებულს და რომთან და ათინასთან თანასწორ საქართველოში უცხოვრობათ.

ბაქრამეს ისტორიას თუ რამ ნაკლულებანება აქვს, ვიტყვი იმასაც, რომ უნაკლულა აჩვენს არის. თვით გამოჩენილს ბოკლსაც-გი შენიშნეს მრავალთა დიდთა მწერალთა და ამათ შორის რუსულს უურნალებშიაც, დრეპერს ერის, სამეფოის დაბერებაზე და სხვებრ და ლუი ბლანს მისილოვსკიმ ერის შინაგან და გარეგან ძალოვნებათა განვითარების მიზეზების გამოწვევასზე. თუკი ამ მსოფლიო მეისტორიე მოაზრე პირებსაც-გი მოუძებნეს ზოგიერთი რამ ნაკლულებანება, სადაც კიტლეს და გერის თქმით ისტორიული სკოლა ბრწყინავს და სახელოვნებს, მის შემდეგ ჩვენ ბაქრამეზე აბა რა გვეთქმის, სადაც ისტორიული სკოლა-გი არა და ისიც არ ვიცით, თუ როდის სად ვინ სცხოვრებდა და ვინ რა დაწერა.

ბაქრამის ისტორია ჩვენი ისტორიული მწერლობის მშვენიება არის, ეს არის რიგიანის და მეცნიერი კაცის მეცნიერული ნაყოფი.